ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის
საჯარო განხილვის სხდომის

ო ქ მ ი

განხილვა გაიმართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 20 ნოემბერს. დაწყების დრო -12 საათი, დამთავრების დრო - 12 [45] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა
საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა

განხილვას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს წევრები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები უბნებში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეები.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ.
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.
(თანდართული დოკუმენტაციის გათვალისწინებით)
/მომხს: ალექსანდრე ტყებუჩავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/
/მომხს: ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი/

მოისმინეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ.
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.
(თანდართული დოკუმენტაციის გათვალისწინებით)
/მომხს: ალექსანდრე ტყებუჩავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/
/მომხს: ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი/

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ტყებუჩავამ აღნიშნა, რომ დღეს საკრებულოს სხდომათა დარბაზში უნდა მოხდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, ქალაქის საზოგადოების მონაწილეობით. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საკრებულოს წარმოუდგინა მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი. კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. საჯაროობის პრინციპებიდან

გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის და მათი ინტერესების გათვალისწინებით, ხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საჯარო განხილვა. საკრებულოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა მოქალაქეების აქტიურობის მნიშვნელობაზე ბიუჯეტის საჯარო განხილვის პროცესში.

ბიუჯეტის პროექტი, საჯარო განხილვისათვის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსმა ვასილ თოდუამ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების გეგმა შეადგენს 44 802.2 ათასი ლარს, რაც 12 195.0 ათასი ლარით აღემატება წინა წლის დამტკიცებულ მაჩვენებელს. აღნიშნული ზრდა ძირითადად განპირობებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდითა და საკონტეინერო მოსაკრებლის შემოღებით. ამასთან მიმოიხილა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

აზრი გამოთქვეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლებმა: შეკითხვები ძირითადად შეეხო ქალაქში არსებულ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს. შენიშვნები ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ. (თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა